ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი # 2

ქ. ონი 22 თებერვალი 2023 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე ლევან ორდინიძე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ლევან ორდინიძე, ნინო გობეჯიშვილი, ვლადიმერ ბერელიძე, მერაბ ბიჭაშვილი, ბესიკი მაისურაძე, ნონა მაისურაძე, თამილა არჩვაძე, თორნიკე მეტრეველი, ფრიდონ გოგრიჭიანი, ეკა მაისურაძე.

არ ესწრებოდნენ: ნოდარ ბურდილაძე, თამაზ მეტრეველი, გიორგი მეშვილდიშვილი.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე/

2. ,,ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის #39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: ლევან ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე/

3. ,,ონის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით მიღებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 21 მარტის #5 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე/

4. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

/მომხსენებელი: სონია გუგეშაშვილი-კომისიის თავმჯდომარე/

მოისმინეს: 1.ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ და აღნიშნა, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საკრებულო ვალდებულია, ყოველწლიურად, არაუგვიანეს თებერვლისა, განსაზღვროს ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი, ამ ეტაპზე ცვლილება არსებულ ფასში არ ხდება და მტკიცდება უკვე განსაზღვრული ფასი.

კომისიამ იმსჯელა საკითხთან დაკავშირებით და გასცემს რეკომენდაციას აღნიშნული საკითხი შეტანილ იქნეს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: 2. ,,ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის #39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: ლევან ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე/

ლ. ორდინიძემ კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი ,,ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის #39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე .

კომისიამ იმსჯელა და მხარი დაუჭირა აღნიშნული საკითხის ბიუროს სხდომაზე განხილვას.

მოისმინეს: 3. ,,ონის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით მიღებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 21 მარტის #5 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე/

ლ. ორდინიძემ კომისიის წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი ,,ონის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით მიღებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 21 მარტის #5 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ და განმარტა, რომ ქ. ონში რაჭის მუზეუმის ახალი შენობის სათანადო მოვლა-პატრონობისათვის საჭიროა, გამოიყოს სამი საშტატო ერთეული-ერთი ტექნიკური მუშაკი და ორი დარაჯი. შესაბამისად, ონის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით მიღებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების რიცხოვნობას უნდა დაემატოს ერთი ტექნიკური მუშაკის და ორი დარაჯის პოზიცია.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს აღნიშნული საკითხის განხილვას ბიუროს სხდომაზე.

მოისმინეს: 4. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე/

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

კომისიამ გასცა რეკომენდაცია, აღნიშნული ინფორმაცია შეტანილი იქნეს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ლევან ორდინიძე

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე